

საქართველოს კანონი

ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზნები, რეგულირების სფერო და ძირითადი პრინციპები

1. ამ კანონის მიზანია ფიზიკურ პირთა ჯანმრთელობის დაცვა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულება.

2. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ბრუნვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ადგენს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ლეგალური ბრუნვის და მათი უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის სამართლებრივ საფუძვლებს და ნარკოლოგიური დახმარების პრინციპებს.

3. ამ კანონის ძირითადი პრინციპებია:

ა) ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ბრუნვის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულება;

ბ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ბრუნვაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

გ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული საქმიანობის ცალკეულ სახეობებზე სახელმწიფოს კომპეტენციის განსაზღვრა;

დ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ბრუნვასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების წინააღმდეგ მიმართულ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა პრიორიტეტულობა და ნარკომანიის პრევენციის სტიმულირება;

ე) სამედიცინო მიზნებისათვის ნარკოტიკულ საშუალებათა ადეკვატური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. საქართველოს კანონმდებლობა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებებისა და ნარკოლოგიური დახმარების თაობაზე

საქართველოს კანონმდებლობა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებებისა და ნარკოლოგიური დახმარების თაობაზე ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს და შედგება ამ კანონისგან, სხვა კანონებისა და მათ საფუძველზე შემუშავებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისგან.

მუხლი 3. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ნარკოტიკული საშუალება – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივთიერების შემცველი მცენარე ან პრეპარატი, რომელიც გაეროს შესაბამისი კონვენციების საფუძველზე შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნარკოტიკულ საშუალებათა I და II სიაში;

ბ) ფსიქოტროპული ნივთიერება – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივთიერების შემცველი მცენარე ან პრეპარატი, რომელიც გაეროს შესაბამისი კონვენციების საფუძველზე შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფსიქოტროპულ ნივთიერებათა III სიაში;

გ) პრეკურსორი – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, რომელიც გაეროს შესაბამისი კონვენციების საფუძველზე შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა IV სის №1 და №2 ცხრილებში;

დ) ფსიქოაქტიური ნივთიერება – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, რომელიც მოქმედებს ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, იწვევს მისი ფსიქიკური მდგომარეობის ცვლილებას და შეტანილია სიებში;

ე) (ამოღებულია - 16.04.2014, №2235).

ვ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტი – სიებში შეტანილი, საქართველოში სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის ნებადართული სამკურნალო საშუალება ყველა სავაჭრო დასახელებით, აგრეთვე ფარმაცოლოგიურად აქტიური, ბუნებრივი ან სინთეზური გზით მიღებული ფარმაცევტული სუბსტანცია;

ვ¹) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალება – ფარმაცევტული პროდუქტი, რომელიც არ არის შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების სიაში, მაგრამ რომლის უკანონო ბრუნვა და ავად მოხმარება სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას, ამწვავებს ქვეყანაში შექმნილ ნარკოლოგიურ სიტუაციას და რომელიც შეტანილია ამ კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ნუსხაში;



ზ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება – ბუნებრივი ან სინთეზური გზით მიღებული ყველა ნივთიერება, ფარმაცევტული პროდუქტი, მცენარეული მასალა და ნარევი, რომლებიც შეტანილია I, II, III და IV სიაში;

თ) ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალება – საქართველოში სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის აკრძალული, განსაკუთრებით საშიში ნარკოტიკული საშუალება, რომლის გამოყენებაც ნებადართულია მხოლოდ სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო-დიაგნოსტიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით;

ი) ბრუნვისათვის შეზღუდული ნარკოტიკული საშუალება – საქართველოში სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის ნებადართული ნარკოტიკული საშუალება;

კ) სია (სიები) – საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ჩამონათვალი, რომელიც მოცემულია ამ კანონის №1 დანართში და მისი განუყოფელი ნაწილია;

ლ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების წამლის ფორმა – ნებისმიერი ფორმის ფარმაცევტული პროდუქტი, რომელშიც ფარმაცოლოგიურად აქტიურია მხოლოდ ერთი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული სუბსტანცია;

მ) პრეპარატი – ნებისმიერ ფიზიკურ მდგომარეობაში არსებული, კომბინირებული სამკურნალო საშუალება, რომელიც ფარმაცოლოგიურად აქტიურ სხვა ნივთიერებასთან (ნივთიერებებთან) ერთად შეიცავს ერთ ან რამდენიმე სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ სუბსტანციას;

ნ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული სუბსტანცია (შემდგომ – ფარმაცევტული სუბსტანცია) – ნებისმიერი წარმოშობის, შესაბამისი ხარისხისა და ფარმაცოლოგიურად აქტიური ნივთიერება, რომელიც შეტანილია სიებში და გამოიყენება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების წამლის ფორმისა და პრეპარატის წარმოებისათვის ან/და წამლის მაგისტრალური და ოფიცინალური რეცეპტებით მომზადებისათვის;

ო) ნარევი – ნებისმიერ ფიზიკურ მდგომარეობაში არსებული, უკანონოდ დამზადებული, ნებისმიერი სახეობის, ფორმისა და შემცველობის ნაზავი, რომელიც შეიცავს ერთ ან ერთზე მეტ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას;

პ) ნარკოტიკული საშუალების ანალოგი – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის უცნობი ნივთიერება, რომლის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ფარმაცოლოგიური მოქმედება მსგავსია ამ კანონით განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალების ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ფარმაცოლოგიური მოქმედებისა;

ჟ) სპეციალური კონტროლი – ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებსაც სახელმწიფო იყენებს სიებში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვის თავიდან ასაცილებლად;

რ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ბრუნვა – ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველ მცენარეთა დათესვა, მოყვანა, კულტივირება, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა შექმნა, წარმოება, მომზადება, დამზადება-გადამუშავება, შენახვა, გადაზიდვა, გადაზიდვა (გადატანა), რეალიზაცია (საცალო და საბითუმო), განაწილება, შექმნა, გასაღება, ჩაბარება, გამოყენება, მოხმარება, განადგურება, შემოტანა, გატანა, იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი, რეექსპორტი;

ს) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ლეგალური ბრუნვა – ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მცენარეების, სოკოების და სიებში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ბრუნვა საქართველოს კანონმდებლობის დაცვით;

ტ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვა – ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მცენარეების, სოკოების და სიებში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ბრუნვა საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით;

უ) შექმნა – ნარკოტიკული საშუალების ანალოგის შემუშავება;

ფ) წარმოება – შესაბამისი ნებართვის მქონე ფარმაცევტულ საწარმოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა, მათი წამლის ფორმებისა და პრეპარატების სერიული მიღება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ქ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის მაგისტრალური რეცეპტით მომზადება – აფთიაქში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის მომზადება ინდივიდუალური პაციენტისათვის;

ღ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის ოფიცინალური რეცეპტით მომზადება – აფთიაქში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის მომზადება ფარმაცოპეის შესაბამისად;

ყ) დამზადება-გადამუშავება – ყველა პროცესი, გარდა წარმოებისა და მომზადებისა, რომელთა საშუალებითაც შეიძლება მიღებულ იქნეს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება, აგრეთვე მცენარის, ნივთიერების ან პრეპარატის უცხო მინარევებისაგან გაწმენდა, მისგან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების გამოყოფა, ამ ნივთიერების კონცენტრაციის შეცვლა;

შ) გადაგზავნა – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება (გადამისამართება) ნებისმიერი საშუალებით, ამ ნივთიერების გამგზავნის, ადრესატისა და



უფლებამოსილი პირის დაუსწრებლად;

ჩ) გადაზიდვა (გადატანა) – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება ნებისმიერი საშუალებით, მისი განმკარგავის ან მფლობელის მიერ;

ც) საცალო რეალიზაცია – უფლებამოსილი პირის მიერ ფიზიკური პირისათვის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის გაცემა სათანადო დანიშნულების საფუძველზე, უფასოდ ან დადგენილი ფასით;

ძ) საბითუმო რეალიზაცია – უფლებამოსილი იურიდიული პირის მიერ იურიდიული პირისათვის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის გაცემა სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე, უფასოდ ან დადგენილი ფასით;

წ) გასაღება – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემა ანაზღაურების სანაცვლოდ ან უფასოდ, მიუხედავად გადაცემის მიზნისა;

ჭ) მოხმარება – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის ექიმის დანიშნულებით მოხმარება;

ხ) უკანონო მოხმარება – სიებში შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება;

ჯ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების საქართველოში შემოტანა და საქართველოდან გატანა – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების სხვა სახელმწიფოს ტერიტორიიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადმოტანა ან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადატანა;

3) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი, რეექსპორტი, მიწერით საწყობში/ტერმინალში საქონლის შენახვის რეჟიმში მოქცევა – საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი, რეექსპორტი, მიწერით საწყობში/ტერმინალში საქონლის შენახვის რეჟიმში მოქცევა;

3¹) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა შემცველი მცენარეები და სოკოები:

3¹.ა) კოკას ბუჩქი – *Erythroxylon*-ის გვარის ნებისმიერი სახეობა;

3¹.ბ) ოპიუმის ყაყაჩო (დამაძინებელი ყაყაჩო, ხაშხაში) – *Papaver somniferum L*-ის სახეობის მცენარე;

3¹.გ) მცენარე კანაფი – *Cannabis*-ის გვარის ნებისმიერი სახეობა;

3¹.დ) *Loprophora*-ს გვარის კაქტუსის ყველა სახეობა;

3¹.ე) *Echinopsis*-ის გვარის კაქტუსის ყველა სახეობა;

3¹.ვ) *Catha*-ს გვარის მხოლოდ *Catha edulis*-ის სახეობის მცენარე;

3¹.ზ) მცენარე ეფედრა – *Ephedra*-ს გვარის ყველა სახეობა;

3¹.თ) *Strophariaceae*-ს ოჯახის ყველა გვარის სოკო;

3²) კანაფი – მცენარე კანაფის წვეროები ყვავილებითა და ნაყოფით (გარდა ფოთლებისა და თესლებისა, რომელთაც არ ახლავთ მცენარის წვეროები), თუ მათგან არ არის გამოყოფილი ნებისმიერი დასახელების მქონე ფისი;

3³) კანაფის ფისი – მცენარე კანაფისგან მიღებული (გამოყოფილი), გაწმენდილი ან გაუწმენდავი ფისი;

3⁴) კოკას ფოთოლი – კოკას ბუჩქის ფოთოლი, გარდა იმ ფოთლებისა, რომელთაც მთლიანად აქვთ გამოცლილი ეკგონინი, კოკაინი და ეკგონინის სხვა ნებისმიერი ალკალოიდი;

3⁵) სამედიცინო ოპიუმი – გადამუშავებული ოპიუმი, რომელიც სამედიცინო მიზნებისათვის გამოიყენება;

3⁶) ოპიუმი – ხაშხაშის (*Papaver somniferum*) შედედებული რძეწვენი;

3⁷) ყაყაჩოს ნამჯა – მოთიბული (მოცელილი) ოპიუმის ყაყაჩოს ყველა ნაწილი, გარდა თესლებისა;

3⁸) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შემცველი მცენარისა და სოკოს მიცელიუმის დათესვა – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შემცველი მცენარის თესლის ბუნებრივ ან ხელოვნურ ნიადაგში შეტანა, ან მცენარის ნერგის დარგვა მიწის ნებისმიერ ნაკვეთზე, მათ შორის, აუთვისებელ მიწაზე, აგრეთვე ხელოვნურ ან/და საოჯახო პირობებში;

3⁹) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შემცველი მცენარისა და სოკოს მოყვანა – დათესილი და დარგული მცენარისა და სოკოს მოვლა მათი ფიზიოლოგიური სიმწიფის ფაზის მიღწევის მიზნით;

3¹⁰) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შემცველი მცენარისა და სოკოს კულტივირება – ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მცენარისა და სოკოს სელექცია; მოქმედება, რომელიც მიმართულია მცენარის ან სოკოს ახალი სახეობის ან ჰიბრიდის მიღებისაკენ, რომლებიც ან რომელთა ნაწილებიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას, ფსიქოტროპულ ნივთიერებას ან/და პრეკურსორს;

3¹¹) შენახვა – ნებისმიერი გამიზნული ქმედება, რომელიც დაკავშირებულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ფაქტობრივ ფლობასთან შენობაში, სამალავში ან სხვაგვარად, თუ ეს ქმედება დაკავშირებული არ არის მის გადატანასთან, მიუხედავად შენახვის ხანგრძლივობისა;

3¹²) განაწილება – უფლებამოსილი პირის მიერ პირისათვის მასზე გამოყოფილი კონკრეტული რაოდენობისა და სახეობის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების გადაცემა;



- 3¹³) შექმნა – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების დაუფლება;
- 3¹⁴) განადგურება – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების გაუვნებლება;
- 3¹⁵) ჩაბარება – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაცემა;
- 3¹⁶) ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებისა და პრეკურსორის ეტალონური სტანდარტული ნიმუშები – მაღალი სიწმინდის მქონე სტანდარტული მეტროლოგიური საშუალება ქიმიური ნივთიერების სახით, რომელსაც ახასიათებს ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებისა და პრეკურსორის თვისებები და შემადგენლობა;
- 3¹⁷) აღრიცხვა – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ლეგალური ბრუნვის აღრიცხვის ერთიანი სისტემა;
- 3¹⁸) ინტერნეტაფთიაქი – ონლაინრეჟიმში მომუშავე პირი, რომელიც ახორციელებს ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაციას ან/და მისი რეალიზაციის მიზნით ავრცელებს შესაბამის ინფორმაციას;
- 3¹⁹) ნარკოლოგიური მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება – სამედიცინო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს I, II და III სიაში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მომხმარებლისა და ნარკომანიით დაავადებული პირის ნარკოლოგიურ და სამედიცინო-ფსიქოლოგიურ დახმარებას;
- 3²⁰) ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების ფაქტის დასადგენად საჭირო პროცედურისათვის თავის არიდება – უფლებამოსილი პირისათვის კლინიკური ან/და ლაბორატორიული გამოკვლევის მოთხოვნაზე უარის თქმა;
- 3²¹) ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების კვოტა – საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებულ ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპულ ნივთიერებებსა და პრეკურსორებზე საქართველოს წლიური მოთხოვნილების გათვალისწინებით განსაზღვრული და გაეროს ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტისათვის წარდგენილი ლიმიტი;
- 3²²) ნარკომანია – დაავადება, რომელიც ხასიათდება I და II სიაში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებზე დამოკიდებულებით;
- 3²³) ფსიქოაქტიურ ნივთიერებაზე დამოკიდებულება – ფიზიოლოგიურ, ქცევით და ფსიქოლოგიურ მოვლენათა ერთობლიობა, რომელიც ყალიბდება ფსიქოაქტიური ნივთიერების განმეორებითი მოხმარების ფონზე და რომლის დროსაც ამ ნივთიერების გამოყენების სურვილი ინდივიდის ფასეულობათა სისტემაში პირველ ადგილზეა, რაც გამოიხატება ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარების დაუძლეველი მოთხოვნილებით, მიუხედავად მოხმარების მავნე შედეგის მკაფიოდ გაცნობიერებისა;
- 3²⁴) ნარკომანიით დაავადებული პირი – პირი, რომელსაც შესაბამისმა სამედიცინო დაწესებულებამ დაუსვა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებაზე დამოკიდებულების დიაგნოზი;
- 3²⁵) უკანონო მომხმარებელი – პირი, რომელიც ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარს I, II ან III სიაში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას, მაგრამ არა აქვს ჩამოყალიბებული მასზე დამოკიდებულება;
- 3²⁶) სომატური დაავადების მქონე, ფსიქოაქტიურ ნივთიერებაზე დამოკიდებული პირი – სომატური ავადმყოფობით დაავადებული პირი, რომელსაც ექიმმა კანონიერად დაუნიშნა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტი და რომელსაც ჩამოყალიბებული აქვს მასზე დამოკიდებულება, რასაც ადასტურებს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულება;
- 3²⁷) სარეაბილიტაციო ღონისძიებები – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებზე დამოკიდებული პირის გამოჯანმრთელებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისაკენ მიმართულ სამედიცინო და სოციალურ ღონისძიებათა ერთობლიობა;
- 3²⁸) სასაწყობო მარაგი – ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტების ის რაოდენობა, რომელიც განკუთვნილია ექსპორტისათვის, ქვეყნის შიგნით სამედიცინო, სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო მიზნებისათვის, მაგისტრალური ან ოფიცინალური რეცეპტით სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის მომზადებისათვის, აგრეთვე ამ კანონით ნებადართული იმ სამკურნალო საშუალების წარმოებისათვის, რომელიც შეიცავს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ სუბსტანციას (სუბსტანციებს);
- 3²⁹) სპეციალური სასაწყობო მარაგი – სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული ფარმაცევტული პროდუქტების ის რაოდენობა, რომელიც ინახება სპეციალური სახელმწიფოებრივი მიზნებისა და საგანგებო/განსაკუთრებული გარემოებებისათვის;
- 3³⁰) ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო – მაკოორდინირებელი ორგანო, რომლის მიზანია ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებით გამოწვეული სამედიცინო, სოციალური და ეკონომიკური ზიანის შემცირებისაკენ მიმართული ეფექტიანი და კოორდინირებული უწყებათაშორისი თანამშრომლობის უზრუნველყოფა;
- 3³¹) საქართველოს კომპეტენტური ეროვნული ორგანო (კომპეტენტური ორგანო) – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის



სამინისტროს სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებული კომპეტენტური სამსახური;

3³²) ქვეყნის შიდა კვოტა – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ცალკეულ ნივთიერებებსა და მათთან გათანაბრებულ სამკურნალო საშუალებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება საერთაშორისო კონტროლს, ქვეყნის წლიური მოთხოვნილების გათვალისწინებით განსაზღვრული ლიმიტი.
საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი №2043 – ვებგვერდი, 12.03.2014წ.
საქართველოს 2014 წლის 16 აპრილის კანონი №2235 – ვებგვერდი, 28.04.2014წ.
საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3064 - ვებგვერდი, 11.07.2018წ.

მუხლი 4. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებ ათა სიები და მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები, მათზე დამოკიდებულების ჩამოყალიბების მაღალი პოტენციალის, მათი გავრცელების, ზემოქმედების ხანგრძლივობის, სოციალური მნიშვნელობისა და ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის საშიშროების მიხედვით, შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა I, II, III და IV სიაში:

ა) I სია – ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებები – უმაღლესი სამედიცინო და სოციალური რისკის მქონე ნარკოტიკული საშუალებები, აგრეთვე სამედიცინო და სოციალური რისკის თვალსაზრისით მათთან გათანაბრებული სხვა ნივთიერებები, რომელთა ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე მკაცრად არის შეზღუდული;

ბ) II სია – ბრუნვისათვის შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებები – მაღალი სამედიცინო და სოციალური რისკის მქონე, საქართველოს ტერიტორიაზე სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის ნებადართული ნარკოტიკული საშუალებები, მათი წამლის ფორმები, აგრეთვე სამედიცინო და სოციალური რისკის თვალსაზრისით მათთან გათანაბრებული სხვა ნივთიერებები, რომელთა ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე შეზღუდულია;

გ) III სია – ფსიქოტროპული ნივთიერებები – საშუალო სამედიცინო და სოციალური რისკის მქონე, საქართველოს ტერიტორიაზე სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის ნებადართული ფსიქოტროპული ნივთიერებები, მათი წამლის ფორმები, აგრეთვე სამედიცინო და სოციალური რისკის თვალსაზრისით მათთან გათანაბრებულ ი სხვა ნივთიერებები;

დ) IV სია – პრეკურსორები – ნივთიერებები (პრეკურსორები), რომლებიც ხშირად გამოიყენება ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო დამზადებისათვის.

2. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა სიები მოცემულია ამ კანონის №1 დანართში და მისი განუყოფელი ნაწილია.

3. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები სიებში შეტანილია მათი საერთაშორისო არარეგისტრირებული (გენერიკული) დასახელებით ან/და ქიმიური დასახელებით ან/და არარეგისტრირებული ტრედალური დასახელებით. სიებს ავტომატურად მიეკუთვნება მათში შეტანილ ნივთიერებ ათა, აგრეთვე მათი მარილების, ეთერების, ფუძეებისა და იზომერების წამლის ფორმები, ასეთ ებ ის არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი სავაჭრო დასახელებით, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

4. ადგილობრივი ნარკოლოგიური, ეპიდემიოლოგიური და კრიმინოგენული სიტუაციის გათვალისწინებით, სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, დასაშვებია სიებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, კერძოდ, რომელიმე სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ერთი სიიდან მეორეში გადატანა, სიიდან ამოღება ან სიაში ახალი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების დამატება.

5. სიებში ცვლილების ან/და დამატების შეტანის საფუძველია:

ა) გაეროს გენერალური მდივნის ოფიციალური შეტყობინება;

ბ) სამედიცინო დაწესებულებების, საექსპერტო-კრიმინალისტიკური, სასამართლო-საგამომიებო ან/და სამართალდამცავი ორგანოების ხელთ არსებული, სტატისტიკურად დადასტურებული ინფორმაცია კონკრეტული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების სოციალური საფრთხის შემცველი უკანონო მოხმარების ფაქტებზე.

6. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა სიებში ცვლილებები და დამატებები შეაქვს საქართველოს პარლამენტს საქართველოს მთავრობის შესაბამისი რეკომენდაციის გათვალისწინებით.

7. მცენარის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის სიებისათვის მიკუთვნების საკითხის განსაზღვრისას სახელმძღვანელო დ გამოიყენება მხოლოდ სიები ან/და კომპეტენტური ორგანოს განმარტებები.

მუხლი 5. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა კონტროლის რეჟიმი

1. I სიაში შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება ექვემდებარება კონტროლის უფრო მკაცრ რეჟიმს, ვიდრე II სიაში შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება.

2. II სიაში შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება ექვემდებარება კონტროლის უფრო მკაცრ რეჟიმს, ვიდრე III სიაში შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება.

3. IV სიის №1 ცხრილში შეტანილი პრეკურსორი ექვემდებარება კონტროლის უფრო მკაცრ რეჟიმს, ვიდრე IV სიის №2 ცხრილში შეტანილი პრეკურსორი.

4. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული



სამკურნალო საშუალებების ნუსხასა და ლეგალური ბრუნვის წესებს განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. აღნიშნულ ნუსხაში შემავალ სამკურნალო საშუალებებზე, მათ შორის, პრეპარატებზე, ვრცელდება სიებში შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებებისათვის დადგენილი კონტროლის რეჟიმი და ლეგალური ბრუნვის წესები.

5. აკრძალულია საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების იმ სიაში გადატანა, რომელზედაც დაწესებულია ნაკლებად მკაცრი კონტროლი, ვიდრე ეს საერთაშორისო მოთხოვნებით არის გათვალისწინებული.

საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი №2043 – ვებგვერდი, 12.03.2014წ.

საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3064 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.

მუხლი 6. უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებულ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებ ათა და მათი შემცველი პრეპარატების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობები

1. უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებულ I, II და III სიაში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობები განისაზღვრება ამ კანონის №2 დანართით და მისი განუყოფელი ნაწილია.

2. I და II სიაში შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების წამლის ფორმის (ტაბლეტი, კაფსულა, ამპულა და სხვა) ოდენობა განისაზღვრება გრამებში, სუფთა ნივთიერებაზე გადაანგარიშებით, მისი შემავსებლების (შაქარი, წყალი, სახამებელი და სხვა) გარეშე, ხოლო პრეპარატის ან ნარევის შემთხვევაში – იმ ნივთიერების გარეშე, რომელიც არ ექვემდებარება სპეციალურ კონტროლს.

3. თუ უკანონო ბრუნვიდან ამოღებული პრეპარატი ან ნარევი შეიცავს ორ ან რამდენიმე სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას, ოდენობა განისაზღვრება იმ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით, რომლის უკანონო ბრუნვისათვის (დადგენილი ოდენობით) გათვალისწინებულია სასჯელის უფრო მკაცრი ზომა.

4. ოდენობა არ განისაზღვრება III და IV სიაში შეტანილ ნივთიერებათა წამლის ფორმებზე (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა), აგრეთვე იმ პრეპარატებზე, რომლებიც არ არის შეტანილი სიებში.

4¹. თუ ამ კანონის №2 დანართის ნუსხით გათვალისწინებული ნარკოტიკული საშუალების ოდენობა განსაზღვრული არ არის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საწყის ოდენობად ჩაითვლება მისი ნებისმიერი ოდენობა.

5. უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებულ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებ ათა მცირე, დიდ და განსაკუთრებით დიდ ოდენობებში ცვლილებები შეაქვს საქართველოს პარლამენტს საქართველოს მთავრობის შესაბამისი რეკომენდაციის გათვალისწინებით.

საქართველოს 2018 წლის 4 აპრილის კანონი №2118 – ვებგვერდი, 19.04.2018წ.

თავი II. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ბრუნვის სფეროში სახელმწიფოს კომპეტენცია და მათი უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ საქმიანობის სახელმწიფო კოორდინაცია

მუხლი 7. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ბრუნვის სახელმწიფო რეგულირება

საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებ ათა ბრუნვის სახელმწიფო რეგულირებას ახორციელებენ მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები.

მუხლი 8. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებ ათა ლეგალური ბრუნვის სფეროში სახელმწიფო კომპეტენცია

1. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებენ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები საამისოდ უფლებამოსილი სამსახურების მეშვეობით.

2. II სიაში შეტანილი ფარმაცევტული პროდუქტის გამოსაწერი რეცეპტის ბლანკების საჭირო რაოდენობით დამზადებას უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3. საქართველოში ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალურ ბრუნვასა და ნარკოლოგიური დახმარების ხარისხზე კონტროლს ახორციელებენ მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

4. სახელმწიფო უზრუნველყოფს ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების ხელმისაწვდომობას საჭირო რაოდენობითა და ფორმით, სამედიცინო, სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა მიზნებისათვის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3064 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.

მუხლი 9. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების კვოტები



1. საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებულ ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპულ ნივთიერებებსა და IV სიის №1 ცხრილში შეტანილ პრეკურსორებზე სახელმწიფო კვოტებს (საჭიროების შემთხვევაში – კვოტებში ცვლილებების შეტანას) საქართველოს წლიური მოთხოვნილების გათვალისწინებით განსაზღვრავს კომპეტენტური ორგანო და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად დასამტკიცებლად წარუდგენს გაეროს ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტს.

2. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ცალკეულ ნივთიერებებზე ფიქსირებული კვოტები, საქართველოს წლიური მოთხოვნილების გათვალისწინებით, შეიძლება ერთობლივად განსაზღვრონ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა. ფიქსირებული კვოტები საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად დასამტკიცებლად წარედგინება გაეროს ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტს.

3. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ცალკეულ ნივთიერებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება საერთაშორისო კონტროლს, და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებულ ცალკეულ სამკურნალო საშუალებებზე ქვეყნის შიდა კვოტები, საქართველოს წლიური მოთხოვნილების გათვალისწინებით, შეიძლება ერთობლივად განსაზღვრონ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა.

4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ქვეყნის შიდა კვოტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა საჯაროდ აცხადებს და აქვეყნებს დამტკიცებულ ქვეყნის შიდა კვოტას და არანაკლებ 30 კალენდარული დღის ვადაში იღებს იმპორტირების მსურველთა განცხადებებს.

5. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ქვეყნის შიდა კვოტის დამტკიცების შემთხვევაში წინასწარი შეთანხმებისა და ნებართვის გაცემისას ვალდებულია არ დაუშვას ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტირების მონოპოლიზაცია.

საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი №2043 – ვებგვერდი, 12.03.2014წ.

საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3064 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.

მუხლი 10. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის შეფუთვა-მარკირება

1. პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის შეფუთვა-მარკირება, განისაზღვრება ამ კანონითა და „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

2. საქართველოში წარმოებული, აგრეთვე საქართველოში შემოტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის შეფუთვის ფორმა უნდა გამორიცხავდეს მისი მთლიანობის დაურღვევლად წამალთან ან/და ფარმაცევტულ სუბსტანციასთან შეხების შესაძლებლობას.

მუხლი 11. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა პოპულარიზაცია და რეკლამა

1. აკრძალულია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა სიებში შეტანილი ნივთიერებების ყოველგვარი პოპულარიზაცია და რეკლამა – ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შექმნის, მოხმარების, გამოყენებისა და მათი შეძენის ადგილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რეკლამის მიზნით წიგნების, ბროშურებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, მათ შორის, ინტერნეტის, გამოყენება, გარდა სპეციალიზებული პროფესიული ლიტერატურისა.

2. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების რეკლამა გულისხმობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, აგრეთვე ნებისმიერი სხვა საშუალებითა და ფორმით გავრცელებულ მასალას ან/და ქმედებას, რომლის მიზანია ამ ნივთიერების გამოყენების პროპაგანდა.

3. აკრძალულია:

ა) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების რეკლამა;

ბ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მოსახლეობისათვის რეკლამის მიზნით დარიგება.

მუხლი 12. ანგარიშგება საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებ ათა ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ

1. ყველა სახელმწიფო ორგანო და პირი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებენ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებულ საქმიანობას, ვალდებულია კომპეტენტურ ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესით.



2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3064 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.

მუხლი 13. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვა

საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული ოპერაციები აღრიცხება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო

1. ქვეყანაში ნარკომანიის გავრცელების, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებით გამოწვეული სამედიცინო, სოციალური და ეკონომიკური ზიანის შემცირების მიზნით და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ეფექტიანი და კოორდინირებული უწყებათაშორისი თანამშრომლობის უზრუნველ ყოფის მიზნით იქმნება ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (შემდგომ – საბჭო).

2. საბჭოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

3. საბჭო უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი დაწესებულებებიდან მოითხოვოს მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტაცია.

4. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს კანონებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

5. ქვეყანაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა უკანონო მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებისა და შეფასების, აგრეთვე მტკიცებულებებზე დაფუძნებული სამედიცინო-პრაქტიკული მეთოდოლოგიების დანერგვის მიზნით საბჭო უზრუნველყოფს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა უკანონო მოხმარებისა და უკანონო ბრუნვის მონიტორინგის სისტემის შექმნას და მისი ფუნქციონირების ხელშეწყობას.

6. მონიტორინგის სისტემა უზრუნველყოფს:

ა) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა უკანონო მოხმარების ეპიდემიოლოგიური და სტატისტიკური მაჩვენებლების განსაზღვრას, უკანონო მოხმარებით და ნარკომანიით გამოწვეული სამედიცინო და საზოგადოებრივი ზიანის შეფასებას და განსახორციელებელ ღონისძიებათა დაგეგმვას, აგრეთვე გატარებული ქმედითი ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასებას;

ბ) საერთაშორისო დონეზე შესაბამის ორგანიზაციებთან ინფორმაციის გაცვლას და ანგარიშგების წარმოებას;

გ) „ადრეული გაფრთხილების სისტემაში“ მონაწილეობას.

7. მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების წესს და მონიტორინგის განმახორციელებელ დაწესებულებას განსაზღვრავს საბჭო.

საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1240 – ვებგვერდი, 01.10.2013წ.

თავი III. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გამოყენების სფერო

მუხლი 15. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ბრუნვის ცალკეულ სახეობათა აკრძალვა

1. გარდა სასწავლო, სამეცნიერო - კვლევით, საექსპერტო და კრიმინალისტიკურ საქმიანობ აში გამოყენებისა, საქართველოში აკრძალულია:

ა) I სიაში შეტანილი ნარკოტიკული საშუალების ბრუნვა;

ბ) I და II სიაში შეტანილი ნარკოტიკული საშუალების ანალოგის შექმნა;

გ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების დამზადება - გადაამუშავება.

2. აკრძალულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა საქართველოში შემოტანა და საქართველოდან გატანა საფოსტო გზავნილით (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა), აგრეთვე საფოსტო ყუთის ან ბანკის მისამართით.

3. აკრძალულია ნარკოტიკული საშუალების:

ა) შემოტანა მიწერთი საწყობის / საბაჟო ტერმინალის მისამართით;

ბ) გატანა მიწერთი საბაჟო საწყობის / საბაჟო ტერმინალის მისამართით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემულ წინასწარი შეთანხმების დოკუმენტში მითითებულია კონკრეტული მიწერთი საბაჟო საწყობი / საბაჟო ტერმინალი;

გ) ტრანზიტი;

დ) რეექსპორტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაცია ახორციელებს პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობას;

ე) წარმოება;

ვ) გადაგზავნა.

4. აკრძალულია აგრეთვე:



ა) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული იმ ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია, რომელსაც არა აქვს ჩატარებული სერიული კონტროლი (სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის სერიულ კონტროლს უზრუნველყოფს იმპორტიორი);

ბ) პირის მიერ ინტერნეტაფთიაქის მეშვეობით სიებში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებ ათა შექმენა ან / და რეალიზაცია;

გ) II სიაში შეტანილი ფარმაცევტული პროდუქტის ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება;

დ) ფარმაცევტული სუბსტანციის ფიზიკურ პირზე გაცემა - რეალიზაცია;

ე) ნარკოტიკული დანაშაულისათვის ნასამართლევნი პირის, ნარკომანიით დაავადებული პირის ან/და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მომხმარებლის მიერ საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის ბრუნვასთან დაკავშირებული საქმიანობა;

ვ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შემცველი მცენარისა და სოკოს მიცელიუმის დათესვა, მოყვანა და კულტივირება.

მუხლი 16. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით გამოყენება

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განსაზღვრავს იმ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტების ჩამონათვალსა და რაოდენობას, რომელთა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით გამოყენება ნებადართულია საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საჭაერო, საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტში, მათ შორის, საერთაშორისო რეისების შესრულებისას.

2. ნებისმიერი ტრანსპორტით საერთაშორისო რეისის შესრულებისას, საერთაშორისო ღონისძიების (ველოსპორტი, ავტორალი და სხვა), მათ შორის, უცხო ქვეყნის წარმომადგენელთან ერთობლივი სამხედრო წვრთნის, ჩატარებისას, შესაბამისად, მგზავრთა თვის და ღონისძიებაში მონაწილე პირთათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით ნებადართულია (თუ ამას ითვალისწინებს ჩასატარებელი ღონისძიება) II და III სიაში შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის საქართველო ში შემოტანა და საქართველო დან გატანა. ეს პროცესი არ განიხილება იმპორტად, ექსპორტად ან ტრანზიტად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო ღონისძიების დაწყებამდე დაინტერესებული ორგანიზაცია (უწყება) წერილობით მიმართავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რის საფუძველზედაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მისამართით გასცემს შესაბამის წერილს, რაც სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის გატარების ან გატარებაზე უარის თქმის საფუძველია.

საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3064 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.

მუხლი 17. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა სასწავლო, სამეცნიერო - კვლევით, საექსპერტო და კრიმინალისტიკურ საქმიანობაში გამოყენება

სასწავლო, სამეცნიერო - კვლევით, საექსპერტო და კრიმინალისტიკურ საქმიანობა აში ნებადართულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებ ათა გამოყენება სახელმწიფო დაწესებულების და კომპეტენტური ორგანოს მიერ უფლებამოსილი იურიდიული პირის მიერ.

მუხლი 18. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ვეტერინარული საქმიანობისათვის ლეგალური ბრუნვის წესები

ვეტერინარული სამსახურებისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ლეგალური ბრუნვის წესს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი.

საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის კანონი №1644 – ვებგვერდი, 14.12.2017წ.

საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3064 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.

მუხლი 19. ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოში შემოტანა და საქართველოდან გატანა

1. ფიზიკურ პირს (მათ შორის, საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანზიტით მიმავალ ფიზიკურ პირს) უფლება აქვს, მკურნალობის მიზნით თან იქონიოს ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერებები სათანადო სამედიცინო და საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან



დაკავშირებულ დოკუმენტებთან ერთად.

2. თუ ფიზიკური პირი ვერ ტოვებს საქართველოს ტერიტორიას, მაგრამ მკურნალობის გასაგრძელებლად საჭიროებს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტს, ავადმყოფის შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა ხდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული წესით.

3. ფიზიკური პირის (მათ შორის, საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანზიტით მიმავალი ფიზიკური პირის) მიერ ინდივიდუალური საჭიროებისათვის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოში შემოტანა, საქართველოდან გატანა ან საქართველოს ტერიტორიის გავლით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადატანა არ განიხილება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტად, ექსპორტად ან ტრანზიტად.

4. ფიზიკური პირის მიერ ინდივიდუალური საჭიროებისათვის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებით ამტკიცებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3064 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.

თავი IV. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ბრუნვასთან დაკავშირებული საქმიანობის ცალკეული სახეობების განხორციელება

მუხლი 20. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული სანებართვო საქმიანობა და ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნები

1. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული სანებართვო საქმიანობა რეგულირდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. ნებართვას არ საჭიროებს სამედიცინო მომსახურების გამწევი სუბიექტის მიერ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული იმ ფარმაცევტული პროდუქტის გამოყენება, რომელიც სამედიცინო მომსახურების ნაწილია.

მუხლი 21. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის წარმოება

III და IV სიაში შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტების წარმოების უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მქონე იურიდიულ პირს.

მუხლი 22. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის აფთიაქში მომზადება

1. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის მაგისტრალური რეცეპტით მომზადების უფლება აქვს შესაბამისი ნებართვის მქონე აფთიაქს.

2. აფთიაქს ეკრძალება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის ოფიცინალური რეცეპტით მომზადება.

3. შესაბამისი ნებართვის მქონე აფთიაქს უფლება აქვს, ოფიცინალური რეცეპტით მოამზადოს III სიაში შეტანილი ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი ის პრეპარატი, რომელიც არ არის შეტანილი სიებში.

მუხლი 23. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა დამზადება - გადამუშავება

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა დამზადება-გადამუშავების უფლება აქვთ მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილ სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო და კრიმინალისტიკურ დაწესებულებებს.

მუხლი 24. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა შენახვა

1. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა შენახვის უფლება აქვს შესაბამისი საქმიანობის განმახორციელებელ პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აგრეთვე ფიზიკურ პირს, თუ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტი ექიმის დანიშნულების საფუძველზეა შეძენილი.

2. საქართველოში აკრძალულია ნარკოტიკული საშუალებების საბაჟო საწყობში შენახვა საწყობის სასაქონლო ოპერაციის გამოყენებით.

მუხლი 25. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის შეძენა

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის შეძენის უფლება აქვთ:

ა) ფიზიკურ პირს (მხოლოდ შესაბამისი რეცეპტის საფუძველზე);



ბ) შესაბამისი უფლების მქონე პირს შესაბამისი უფლების მქონე პირისაგან (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე), საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობის განსახორციელებლად.

მუხლი 26. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გადაგზავნა

საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია I და II სიაში შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გადაგზავნა.

მუხლი 27. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გადაზიდვა (გადატანა)

1. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებ ათა გადაზიდვის (გადატანის) უფლება აქვს ს ამ ნივთიერებების ბრუნვაზე უფლებამოსილ იურიდიულ პირს მათი შექმნის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად.

2. იურიდიული პირის მიერ II სიაში შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის გადაზიდვა ხორციელდება მხოლოდ პოლიციის დაცვის თანხლებით.

3. ფიზიკურ პირს უფლება აქვს, II სიაში შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტი გადაიტანოს მისი შექმნის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად. ასეთი დოკუმენტის ფორმასა და გაცემის წესს ამტკიცებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3064 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.

მუხლი 28. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის საცალო რეალიზაცია

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის ფიზიკურ პირზე საცალო რეალიზაციის უფლება აქვს შესაბამისი ნებართვის მქონე პირს, კანონმდებლობით დადგენილი რეცეპტის საფუძველზე.

მუხლი 29. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა საბითუმო რეალიზაცია

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა საბითუმო რეალიზაციის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მქონე იურიდიულ პირს შესაბამისი უფლების მქონე იურიდიულ პირზე, კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

მუხლი 30. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტი (ექსპორტი)

1. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტის (ექსპორტის) განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი საქმიანობისა და ნებართვის მქონე იურიდიულ პირს.

2. ნარკოტიკული საშუალების შემოტანამდე (გატანამდე) შემომტანი (გამტანი) იურიდიული პირი ვალდებულია მიიღოს წინასწარი შეთანხმება და ნებართვა, რომელსაც გასცემს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3. ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და IV სიის №1 ცხრილში შეტანილი პრეკურსორების იმპორტის ან ექსპორტის განხორციელებამდე იურიდიული პირი ვალდებულია მიიღოს წინასწარი შეთანხმება და ნებართვა, რომელსაც გასცემს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

4. ნარკოტიკული საშუალების წინასწარი ნებართვის გარეშე საქართველოში შემოტანის ან ფსიქოტროპული ნივთიერების წინასწარი ნებართვის გარეშე იმპორტის მცდელობისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს ტვირთის დაბრუნებას მიმწოდებლის ხარჯით.

5. სანებართვო მოწმობის გაცემამდე სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტი (ექსპორტი) წინასწარ თანხმდება ექსპორტიორი (იმპორტიორი) ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოსთან, რისთვისაც კომპეტენტური ორგანო გასცემს წინასწარი შეთანხმების დოკუმენტს.

6. წინასწარ შეთანხმებას საჭიროებს ყველა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების იმპორტი (ექსპორტი), აგრეთვე საქართველოში წარმოებული პრეპარატების ექსპორტი, მიუხედავად იმისა, შეტანილია თუ არა ისინი სიებში.

7. წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი გაიცემა იმ შემთხვევაშიც, თუ ამას მოითხოვს მწარმოებელი ან/და ექსპორტიორი (იმპორტიორი) ქვეყანა, მიუხედავად იმისა, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტი საქართველოში ექვემდებარება თუ არა სპეციალურ კონტროლს.

8. წინასწარი შეთანხმების დოკუმენტში უნდა მიეთითოს:

ა) იმპორტიორი (ექსპორტიორი) ორგანიზაციის დასახელება, მისი იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები;

ბ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების საერთაშორისო არარეგისტრირებული (გენერიკული) და სავაჭრო დასახელებები (თუ ასეთები არსებობს);

გ) საიმპორტო (საექსპორტო) რაოდენობა (სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების იმპორტის ან ექსპორტის შემთხვევაში – წამლის ფორმა, დოზის ერთეული, რაოდენობა);



დ) ტრანსპორტის სახეობა, რომლითაც ხორციელდება ტვირთის საქართველოში შემოტანა (საქართველოდან გატანა);

ე) იმპორტის (ექსპორტის) მიზანი;

ვ) დოკუმენტის გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა.

9. ექსპორტის შემთხვევაში წინასწარი შეთანხმების დოკუმენტში დამატებით უნდა მიეთითოს იმპორტიორი ქვეყნის შესაბამისი ეროვნული კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული წინასწარი საიმპორტო შეთანხმების დოკუმენტის ნომერი და მისი გაცემის თარიღი.

10. ამ წესის ფარგლებში ნებადართულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული იმ ფარმაცევტული პროდუქტების ექსპორტი, რომელთაც გაუვიდათ საქართველოში რეგისტრაციის ვადა.

11. სასწავლო, სამეცნიერო - კვლევითი, საექსპერტო და კრიმინალისტიკური საქმიანობის უფლებამოსილების მქონე იურიდიულ პირებს უფლება აქვთ, განახორციელონ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა იმპორტი, შესაბამისად, მხოლოდ სასწავლო, სამეცნიერო - კვლევითი, საექსპერტო და კრიმინალისტიკური საქმიანობის განსახორციელებლად. ამ შემთხვევაში იმპორტი ხორციელდება მხოლოდ წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის საფუძველზე და დამატებით სანებართვო დოკუმენტის გაცემას არ საჭიროებს.

12. საქართველოში წარმოებული იმ პრეპარატების ექსპორტი, რომლებიც არ არის შეტანილი სიებში, ხორციელდება წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის საფუძველზე და დამატებით სანებართვო მოწმობის გაცემას არ საჭიროებს.

13. საიმპორტო (საექსპორტო) ოპერაციის დასრულებისთანავე შესაბამისი საგადასახადო ორგანო კომპეტენტურ ორგანოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწვდის ინფორმაციას სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა იმპორტის (ექსპორტის) შესახებ, ფაქტობრივად იმპორტირებულ (ექსპორტირებულ) ნივთიერებათა დასახელების, რაოდენობისა და იმპორტის (ექსპორტის) განხორციელების თარიღის მითითებით.

14. კომპეტენტური ორგანო ექსპორტიორი ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მომართვის შემთხვევაში საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული წესით აწვდის მას ინფორმაციას ფაქტობრივად იმპორტირებულ ნივთიერებათა დასახელებისა და რაოდენობის შესახებ.

15. საქართველოში შემოტანილ და საქართველოდან გასატან ნარკოტიკულ საშუალებას, აგრეთვე იმპორტის ან ექსპორტის განხორციელებისათვის განკუთვნილ ფსიქოტროპულ ნივთიერებას, რომელთაც არ ახლავთ შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი, დააკავებენ საგადასახადო ორგანოები.

16. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის საექსპორტო ოპერაციის განხორციელების შემდეგ კომპეტენტური ორგანო იმპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოდან საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული წესით გამოითხოვს ინფორმაციას ფაქტობრივად იმპორტირებული ფარმაცევტული პროდუქტის დასახელების, რაოდენობისა და იმპორტის განხორციელების თარიღის შესახებ.

17. იმპორტის (ექსპორტის) სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის ფაქტობრივ რაოდენობასა და სანებართვო მოწმობაში მითითებულ რაოდენობას შორის შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო აკავებს საქონელს და ამის შესახებ აცნობებს კომპეტენტურ ორგანოს, რის შემდეგაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სწავლობენ მიზეზებს და მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

18. ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების იმპორტისა და ექსპორტის წესი მტკიცდება საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

19. IV სიაში შეტანილი პრეკურსორის იმპორტისა და ექსპორტის განხორციელების წესს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

20. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული იმ საბაჟო გამშვები პუნქტების ნუსხას, რომლებიდანაც ნებადართულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საქართველოში შემოტანა და საქართველოდან გატანა, განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

21. საფოსტო გზავნილით ნებადართულია:

ა) საექსპერტო დანიშნულების სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების საქართველოში შემოტანა და საქართველოდან გატანა;

ბ) „ წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სარეგისტრაციო ნიმუშების, რეფერენს - სტანდარტებისა და ეტალონური სტანდარტული ნიმუშების იმპორტი და ექსპორტი.



22. საქართველოში სტიქიური უბედურების ან სხვა საგანგებო სიტუაციის დროს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოში შემოტანა (საქართველოდან გატანა) ხორციელდება წინასწარი შეთანხმების გარეშე. ამ დროს შემოტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალების ლეგალურ ბრუნვაზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტროლის რეჟიმი.

23. თავისუფალ პორტებსა და ზონებში (თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ბრუნვაზე დაწესებულია ისეთივე ზედამხედველობა და კონტროლი, როგორც საქართველოს ტერიტორიის სხვა ნაწილებში, თუმცა დასაშვებია უფრო მკაცრი ზომების მიღებაც.

საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი №2043 – ვებგვერდი, 12.03.2014წ.

საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3064 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.

მუხლი 31. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის გამოსაწერი რეცეპტის სპეციალური ბლანკის შექმნა, შენახვა, აღრიცხვა, გაცემა და რეცეპტის გამოწერა

1. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის გამოწერა ნებადართულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ რეცეპტის სპეციალურ ბლანკზე, მატერიალური ან ელექტრონული ფორმით.

2. რეცეპტის გამოსაწერი სპეციალური ბლანკის შექმნის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემისა და რეცეპტის გამოწერის წესებს ამტკიცებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3. რეცეპტის სპეციალურ ბლანკზე გამოსაწერი ფარმაცევტული პროდუქტების (მათ შორის, იმ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტების, რომლებიც არ არის შეტანილი სიებში) ჩამონათვალს ამტკიცებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

4. შესაბამისი სერტიფიკატის მფლობელ ექიმს უფლება აქვს, რეცეპტის სპეციალურ ბლანკზე გამოწეროს სიებში შეტანილი, საქართველოში რეგისტრირებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტი.

5. ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის ნებადართულია საქართველოში დაურეგისტრირებელი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოწერა.

საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3064 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.

მუხლი 32. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა განადგურება

1. განადგურებას ექვემდებარება:

ა) სამართალდამცავი ორგანოების მიერ უკანონო ბრუნვიდან ან მფლობელობიდან ამოღებული, სიებში შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი მცენარეები;

ბ) ავადმყოფის მკურნალობისათვის გაცემული და დაბრუნებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტი;

გ) სამედიცინო, საექსპერტო, სასწავლო და ვეტერინარული საქმიანობისას გამოყენებულ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ნარჩენები;

დ) ვადაგასული ან/და ნებისმიერი ზემოქმედების შედეგად გაუვარგისებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები;

ე) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

2. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებს ანადგურებს საამისოდ უფლებამოსილი იურიდიული პირი ან სახელმწიფო ორგანო.

თავი V. შეზღუდვები ნარკომანიით დაავადებულ პირთა მიმართ

მუხლი 33. პროფესიებსა და საქმიანობებზე დადგენილი შეზღუდვები

1. სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ფიზიკურ პირთა ჯანმრთელობის, მორალური ფასეულობების, ადამიანის უფლებებისა და სხვა კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით I, II და III სიაში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებზე დამოკიდებულ და I და II სიაში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა უკანონო მომხმარებელთა მიმართ საქართველოში დადგენილია შეზღუდვა ცალკეულ პროფესიებსა და საქმიანობებზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროფესიათა და საქმიანობათა ნუსხას ამტკიცებს და ნარკოლოგიური შემოწმების პერიოდულობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დადგენილი საქმიანობების განმახორციელებელთათვის და პროფესიების წარმომადგენელთათვის I, II და III სიაში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ



ნივთიერებათა მოხმარების ფაქტზე სავალდებულოა პერიოდული შემოწმება. აღნიშნული პროფესიების მუშაკებისათვის I და II სიაში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა უკანონო მოხმარების ფაქტი სამსახურიდან დათხოვნის საფუძველია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტს სამკურნალო მიზნით, შესაბამისი უფლების მქონე ექიმის დანიშნულებით მოიხმარს და არსებობს ამის დამადასტურებელი სამედიცინო დოკუმენტაცია.

თავი VI. ნარკოლოგიური დახმარება

მუხლი 34. ნარკოლოგიური დახმარების ზოგადი პრინციპები

1. ნარკომანიით დაავადებული პირის, I, II და III სიაში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მოხმარებლების სამკურნალო და სარეაბილიტაციო პროგრამები ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლებიდან.

2. ნარკომანიით დაავადებულ პირს, I, II და III სიაში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მოხმარებელს ნარკოლოგიური დახმარება გაეწევა შესაბამის ნარკოლოგიური მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში, გა ნ ცხადებულად, კონფიდენციალურად ან ანონიმურად, ნებაყოფლობით. არასრულწლოვან პაციენტს ნარკოლოგიური დახმარება გაეწევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ნარკომანიით დაავადებული პირის, I, II და III სიაში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მოხმარებლის ნარკოტიკული საშუალებებით მკურნალობა აკრძალულია, გარდა სასიცოცხლო ჩვენებისა, სტაციონარის პირობებში შესაბამისი სტანდარტის, გაიდლაინის ან პროტოკოლის მიხედვით ნარკოტიკული დამოკიდებულების მოხსნის პერიოდისა, აგრეთვე ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამის განხორციელებისა.

4. ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის მეთოდიკას განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

5. ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო სამედიცინო დახმარების სახეებია:

ა) ნარკოტიკული დამოკიდებულების მოხსნა თავისუფლების დროებითი შეზღუდვის ან პატიმრობაში ყოფნის შემთხვევაში;

ბ) პენიტენციურ დაწესებულებაში მკურნალობა.

6. ნარკომანიით დაავადებული პირის, I, II და III სიაში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მოხმარებლის გამოკვლევის, შემოწმების, ექსპერტიზის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის, რეაბილიტაციისა და მეთვალყურეობის წესებს განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საქართველოს 2015 წლის 1 მაისის კანონი №3553 - ვებგვერდი, 18.05.2015წ.

საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3064 - ვებგვერდი, 11.07.2018წ.

მუხლი 35. ნარკოლოგიური მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება

ნარკოლოგიური მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება ახორციელებს I, II და III სიაში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მოხმარებლისა და ნარკომანიით დაავადებული პირის ნარკოლოგიურ და სამედიცინო-ფსიქოლოგიურ დახმარებას. ნარკოლოგიური მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებას მიეკუთვნება სამედიცინო დაწესებულება, რომელიც ამ მომსახურებას აწვდის სტაციონარულ ან/და ამბულატორიულ პირობებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 36. ნარკომანიით დაავადებული პირის გამოვლენა, აღრიცხვა და I, II და III სიაში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მიღების ფაქტის დადგენა

1. I, II და III სიაში შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მიღების ფაქტი დგინდება კლინიკური ან/და ლაბორატორიული გამოკვლევის საფუძველზე.

2. I, II და III სიაში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მოხმარების, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, დადგენის წესი განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი დაწესებულება ქმნის საქართველოში ნარკომანიით დაავადებული პირებისა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მოხმარებლების ერთიან საინფორმაციო ბანკს.



4. ერთიანი საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირების წესს და იმ სახელმწიფო ორგანოთა და იურიდიულ პირთა სიას, რომლებსაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ერთიანი საინფორმაციო ბანკში მოთავსებული ინფორმაცია, ადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

5. საქართველოში ნარკომანიით დაავადებულ პირებისა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მომხმარებლების ერთიანი საინფორმაციო ბანკში თავსდება ინფორმაცია საქართველოში ნარკომანიით დაავადებული პირებისა და I, II და III სიაში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მომხმარებლების შესახებ. ბანკში მოთავსებული ინფორმაცია კონფიდენციალურია.

6. ყველა სახელმწიფო ორგანო, იურიდიული პირი და ინდივიდუალური მეწარმე, რომლებიც ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების მომხმარებელთა, ნარკომანიით დაავადებულ პირთა გამოკვლევას, დიაგნოსტიკას, შემოწმებას, სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარებას, ვალდებულია აწარმოოს მათი აღრიცხვა დადგენილი წესის შესაბამისად და დადგენილ ვადებში მიაწოდოს ინფორმაცია ერთიანი საინფორმაციო ბანკს.

7. ანონიმური მომსახურების ან/და მკურნალობის შემთხვევაში ნარკოლოგიური მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებას უფლება აქვს, ერთიანი საინფორმაციო ბანკში ინფორმაცია გააგზავნოს პერსონალური მონაცემების გარეშე. ასეთი მონაცემები არის საექიმო საიდუმლოება, რომლის განსაიდუმლოება ხდება მხოლოდ პაციენტის თანხმობით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ნარკომანიით დაავადებული პირის დიაგნოსტიკას ახდენს ნარკოლოგიური მომსახურების მიმწოდებელი ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დაწესებულება კომისიური წესით, არანაკლებ 3 ექიმი-ნარკოლოგის მონაწილეობით, რის შედეგადაც ნარკომანიით დაავადებულ პირზე ორ ეგზემპლარად დგება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი სააღრიცხვო ბარათი. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება ერთიანი საინფორმაციო ბანკს, ხოლო მეორე რჩება დაწესებულებაში.

საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3064 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.

მუხლი 37. ნარკომანიით დაავადებული პირის მკურნალობა

1. ნარკომანიით დაავადებულ პირს მკურნალობა უტარდება ნარკოლოგიური მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში დადგენილი სტანდარტის ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ან აღიარებული კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) შესაბამისად.

2. საკუთარი სახსრებით ნებაყოფლობითი მკურნალობის შემთხვევაში ნარკომანიით დაავადებულ პირს უფლება აქვს, დადგენილი წესით შეინარჩუნოს ანონიმურობა. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მკურნალობის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია.

3. ანონიმური მკურნალობის შემთხვევაში ნარკომანიით დაავადებული პირი ვალდებულია სამედიცინო დაწესებულებას დადგენილი წესით წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი. ასეთი საბუთის საფუძველზე მას ენიჭება სპეციალური კოდი, რომლის გაშიფვრა ხდება მისი თანხმობით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. პაციენტის მიერ პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის, მისთვის სპეციალური კოდის მინიჭებისა და კონფიდენციალურობის დაცვის წესებს ადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3064 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.

თავი VII. გარდამავალი დებულებანი

მუხლი 38. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები

1. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ იურიდიულ ძალას ინარჩუნებს ამავე კანონის ამოქმედებამდე მიღებული სამართლებრივი აქტები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კანონს.

2. ამ კანონის ამოქმედებიდან 8 თვის ვადაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით დაამტკიცოს ამ კანონის ამოქმედებისათვის საჭირო შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

3. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაოს და დაამტკიცოს:

ა) ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გამოყენების წესი;

ბ) სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებისა და პრეკურსორის შემცველი მცენარეებისა და სოკოების მიცელიუმის დათესვის, მოყვანისა და კულტივირების წესი.



4. ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს ცალკეულ პროფესიათა და საქმიანობათა ნუსხა, რომელთა განხორციელებისას აუცილებელია ნარკოლოგიური შემოწმება, და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა I და II სიაში შეტანილ ნივთიერებათა მოხმარების ფაქტზე პერიოდული, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმების წესი.

5. ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ შეიმუშაოს მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების წესი.

მუხლი 39. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გასაუქმებელი ნორმატიული აქტები

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს 2002 წლის 5 დეკემბრის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №33, 23.12.2002, მუხ. 162);

ბ) „უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობების ნუსხის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 23 ივლისის №2557-რს დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №82, 6.08.2003, მუხ. 727).

თავი VIII. დასკვნითი დებულება

მუხლი 40. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი
თბილისი,

2012 წლის 22 მაისი.
№6245-ის

დანართი №1

სია I

ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებები

| № | ნივთიერების დასახელება | ქიმიური დასახელება |
|----|--|---|
| 1 | (+)-ლიზერგიდი (ლსდ, ლსდ-25) (+)-LYSERGIDE (LSD, LSD-25) | 9,10-didehydro-N,N-diethyl-6-methylergoline-8 β - carboxamide |
| 2 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 3 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 4 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 5 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 6 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 7 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 8 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 9 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 10 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 11 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 12 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 13 | 3-მეთილთიოფენტანილი 3-METHYLTHIOFENTANYL | N-[3-methyl-1-[2-(2-thienyl)ethyl]-4-piperidyl] propionanilide |
| 14 | 3-მეთილფენტანილი 3-METHYLFENTANYL | N-(3-methyl-1-phenethyl-4-piperidyl)propionanilide |
| 15 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 16 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |



| | | |
|-----------------|---|--|
| 17 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 18 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 19 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 20 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 21 | 4-მეთილამინორექსი 4-METHYLAMINOREX | (±)- <i>cis</i> -2-amino-4-methyl-5-phenyl-2-oxazoline |
| 21 ¹ | 4,4'-დმარ, 4,4'დიმეთილამინორექსი 4,4'-DMAR, 4,4'Dimethylaminorex | para-methyl-4-methylaminorex |
| 22 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 23 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 24 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 25 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 26 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 27 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 28 | N-ჰიდროქსი მდა N-HYDROXY MDA | (±)- <i>N</i> [α -methyl-3,4-(methylenedioxy)phenethyl] hydroxylamine |
| 29 | ალფამეთადოლი ALPHAMETHADOL | α-6-dimethylamino-4,4-diphenyl-3-heptanol |
| 30 | ალფა - მეთილ - 4 - მეთილთიოფენეტილამინი 4-MTA | α-methyl-4-methylthiophenethylamine |
| 31 | ალფა - მეთილთიოფენტანილი ALPHA-METHYLTHIOFENTANYL | N-[1-[1-methyl-2-(2-thienyl)ethyl]-4-piperidyl] propionanilide |
| 32 | ალფა - მეთილფენტანილი ALPHA-METHYLFENTANYL | N-[1-(α -methylphenethyl)-4-piperidyl]propionanilide |
| 33 | ალფამეპროდინი ALPHAMEPRODINE | α -3-ethyl-1-methyl-4-phenyl-4-propionoxypiperidine |
| 33 ¹ | ალფა-პვპ α-PVP | α-pyrrolidinovalerophenone |
| 34 | ალფაცეტიმეთადოლი ALPHACETYLMETHADOL | α-3-acetoxy-6-dimethylamino-4,4-diphenylheptane |
| 34 ¹ | ა3-7921 AH-7921 | 3,4-dichloro-N-[(1-dimethylamino)cyclohexylmethyl]benzamide |
| 35 | აცეტელ - ალფა - მეთილფენტანილი ACETYL-ALPHA-METHYLFENTANYL | N-[1-(α-methylphenethyl)-4-piperidyl]acetanilide |
| 36 | აცეტელმეთადოლი ACETYLMETHADOL | 3-acetoxy-6-dimethylamino-4,4-diphenylheptane |
| 36 ¹ | აცეტელფენტანილი Acetylfentanyl | N-[1-(2-phenylethyl)-4-piperidyl]-N-phenylacetamide |
| 37 | აცეტორფინი ACETORPHINE | 3-O-acetyltetrahydro-7 α -(1-hydroxy-1-methylbutyl)- 6,14-endo-ethenooripavine (derivative of thebaine) (თებაინის წარმოებული) |
| 38 | ბეზიტრამიდი BEZITRAMIDE | 1-(3-cyano-3,3-diphenylpropyl)-4-(2-oxo-3-propionyl-1- benzimidazolyl)piperidine |
| 39 | ბენზეთიდინი BENZETHIDINE | 1-(2-benzoyloxyethyl)-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester |
| 40 | ბენზილმორფინი BENZYL MORPHINE | 3-benzylmorphine |
| 40 ¹ | ბენზილპიპერაზინი N-BENZYLPIPERAZINE (Benzylpiperazine, BZP) | 1-benzylpiperazine |
| 41 | ბეტამეთადოლი BETAMETHADOL | β-6-dimethylamino-4,4-diphenyl-3-heptanol |



| | | |
|----|---|--|
| 42 | ბეტამეპროდინი BETAMEPRODINE | β -3-ethyl-1-methyl-4-phenyl-4-propionoxypiperidine |
| 43 | ბეტაპროდინი BETAPRODINE | β -1,3-dimethyl-4-phenyl-4-propionoxypiperidine |
| 44 | ბეტაცეტილმეთადოლი BETACETYLMETHADOL | β -3-acetoxy-6-dimethylamino-4,4-diphenylheptane |
| 45 | ბეტა - ჰიდროქსი -3- მეთილფენტანილი BETA-HYDROXY-3-METHYLFENTANYL | N-[1-(β -hydroxyphenethyl)-3-methyl-4-piperidyl]propionanilide |
| 46 | ბეტა - ჰიდროქსიფენტანილი BETA-HYDROXYFENTANYL | N-[1-(β -hydroxyphenethyl)-4-piperidyl]propionanilide |
| 47 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 48 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 49 | ბროლამფეტამინი BROLAMFETAMINE (DOB) | (\pm)-4-bromo-2,5-dimethoxy- α -methylphenethylamine |
| 50 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 51 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 52 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 53 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 54 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 55 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 56 | დეზომორფინი DESOMORPHINE | Dihydrodesoxymorphine (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული) |
| 57 | დეტ DET | 3-[2-(diethylamino)ethyl]indole |
| 58 | დიაპრომიდი DIAMPROMIDE | N-[2-(methylphenethylamino)-propyl]propionanilide |
| 59 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 60 | დიმეფეპტანოლი DIMEPHEPTANOL | 6-dimethylamino-4,4-diphenyl-3-heptanol |
| 61 | დიჰიდროეტორფინი DIHYDROETORPHINE | 7,8-dihydro-7 α -[1-(R)-hydroxy-1-methylbutyl]-6,14-endo-ethanotetrahydrooripavine (derivative of etorphine) (ეტორფინის წარმოებული) |
| 62 | დიჰიდრომორფინი DIHYDROMORPHINE | (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული) |
| 63 | დმა DMA | (\pm)-2,5-dimethoxy- α -methylphenethylamine |
| 64 | დმტ DMT | 3-[2-(dimethylamino)ethyl]indole |
| 65 | დმჰპ DMHP | 3-(1,2-dimethylheptyl)-7,8,9,10-tetrahydro-6,6,9-trimethyl-6H-dibenzo[<i>b,d</i>]pyran-1-ol |
| 66 | დოეტ DOET | (\pm)-4-ethyl-2,5-dimethoxy- α -methylphenethylamine |
| 67 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 68 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 69 | ეკგონინი ECGONINE | its esters and derivatives which are convertible to ecgonine and cocaine ეკგონინის რთული ეთერები და მისი წარმოებულები, რომელთა ეკგონინად ან კოკაინად გარდაქმნა შესაძლებელია |
| 70 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 71 | ეთილმეთილთიამბუტენი | 3-ethylmethylamino-1,1-di-(2'-thienyl)-1-butene |



| | | |
|----|--|--|
| | ETHYLMETHYLTHIAMBUTENE | |
| 72 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 73 | ეტციკლიდინი ETICYCLIDINE (PCE) | N-ethyl-1-phenylcyclohexylamine |
| 74 | ეტონიტაზენი ETONITAZENE | 1-diethylaminoethyl-2-p-ethoxybenzyl-5-nitrobenzimidazole |
| 75 | ეტორფინი ETORPHINE | tetrahydro-7 α -(1-hydroxy-1-methylbutyl)-6,14-endo-ethenooripavine (derivative of thebaine) (თებაინის წარმოებული) |
| 76 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 77 | ეტრიპტამინი ETRYPTAMINE | 3-(2-aminobutyl)indole |
| 78 | თიოფენტანილი THIOFENTANYL | N-[1-[2-(2-thienyl)ethyl]-4-piperidyl]propionanilide |
| 79 | იზომეტადონი ISOMETHADONE | 6-dimethylamino-5-methyl-4,4-diphenyl-3-hexanone |
| 80 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 81 | კათინონი CATHINONE | (-)-(S)-2-aminopropiophenone |
| 82 | კანაფი CANNABIS | “Cannabis” means the flowering or fruiting tops of the cannabis plant (excluding theseeds and leaves when not accompanied by the tops) from which the resin has not been extracted, by whatever name they may be designated. კანაფი (Cannabis) – მცენარე კანაფის წვეროები ყვავილებით და ნაყოფით (ფოთლებისა და თესლების გარდა, რომელთაც თან არ ახლავთ მცენარის წვეროები), თუ მათგან არ არის გამოყოფილი ნებისმიერი დასახელების ფისი |
| 83 | კანაფის ექსტრაქტი და ნაყენი (EXTRACTS AND TINCTURS OF CANNABIS) | |
| 84 | კანაფის ზეთი (CANNABIS OIL) | The oil of cannabis derived in any way მცენარე კანაფისგან ნებისმიერი გზით მიღებული ზეთი |
| 85 | კანაფის ფისი (CANNABIS RESIN) | Crude and/or purified cannabis resin obtained from the cannabis plant მცენარე კანაფისგან გამოყოფილი, გასუფთავებული ან/და გაუსუფთავებელი ფისი |
| 86 | კეტობემიდონი KETOBEMIDONE | 4-m-hydroxyphenyl-1-methyl-4-propionylpiperidine |
| 87 | კოდოქსიმი CODOXIME | dihydrocodeinone-6-carboxymethyloxime (derivate of morphine) (მორფინის წარმოებული) |
| 88 | კოკას ფოთოლი COCA LEAF | the leaf of the coca bush (plant material), except a leaf from which all ecgonine, cocaine and any other ecgonine alkaloids have been removed კოკას ფოთოლში იგულისხმება კოკას ბუჩქის ფოთოლი, გარდა იმ ფოთლებისა, რომლებიდანაც მთლიანად არის გამოდევნილი ეკგონინი, კოკაინი და ეკგონინის სხვა ნებისმიერი ალკალოიდი |
| 89 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 90 | ლევომეტორფანი LEVOMETHORPHAN | (-)-3-methoxy-N-methylmorphinan |
| 91 | ლევომორამიდი LEVOMORAMIDE | (-)-4-[2-methyl-4-oxo-3,3-diphenyl-4-(1-pyrrolidinyl)butyl]morpholine |
| 92 | ლევოფენაცეილმორფანი | (-)-3-hydroxy-N-phenacilmorphinan |



| | | |
|------------------|---|--|
| | LEVOPHENACYLMORPHAN | |
| 93 | ლიზერგინის მჟავა LYSERGIC ACID | ((8R)-9,10-didehydro-6-methylergoline-8-carboxylic acid) |
| 94 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 95 | მდე, N- ეთილ მდა MDE, N-ETHYL MDA | (±)-N-ethyl- α -methyl-3,4-(methylenedioxy) phenethylamine |
| 96 | მდმა MDMA | (±)-N, α -dimethyl-3,4-(methylenedioxy) phenethylamine |
| 96 ¹ | მდპვ MDPV (3,4-Methylenedioxypropylvalerone) | (R/S)-1-(Benzo[d][1,3]dioxol-5-yl)-2-(pyrrolidin-1-yl)propan-1-one |
| 97 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 98 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 99 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 100 | მეთადონის სინთეზის შუალედური პროდუქტი METHADONE INTERMEDIATE | 4-cyano-2-dimethylamino-4,4-diphenylbutane |
| 101 | მეთილდეზორფინი METHYLDESORPHINE | 6-methyl- Δ 6-deoxymorphine (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული) |
| 102 | მეთილდიჰიდრომორფინი METHYLDIHYDROMORPHINE | 6-methyldihydromorphine (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული) |
| 102 ¹ | მეთილონი METHYLONE (Beta-keto-MDMA) | (RS)-2-methylamino-1-(3,4-methylenedioxyphenyl) propan-1-one |
| 103 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 104 | მეთკათინონი (ეფედრონი) METHCATHINONE (EPHEDRONE) | 2-(methylamino)-1-phenylpropan-1-one |
| 104 ¹ | მეთოქსეტამინი METHOXETAMINE (MXE) | 2-(3-methoxyphenyl)-2-(ethylamino)cyclohexanone-2-one |
| 105 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 106 | მესკალინი MESCALINE | 3,4,5-trimethoxyphenethylamine |
| 107 | მეტაზოცინი METAZOCINE | 2'-hydroxy-2,5,9-trimethyl-6,7-benzomorphan |
| 107 ¹ | მეფედრონი MEPHEDRONE (4-methylmethcathinone) | (RS)-2-methylamino-1-(4-methylphenyl) propan-1-one |
| 108 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 109 | მეტოპონი METOPON | 5-methyldihydromorphinone (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული) |
| 110 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 111 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 112 | მიროფინი MYROPHINE | Myristylbenzylmorphine (derivate of morphine) (მორფინის წარმოებული) |
| 113 | მმდა MMDA | 5-methoxy- α -methyl-3,4-(methylenedioxy) phenethylamine |
| 114 | მორამიდის სინთეზის შუალედური პროდუქტი MORAMIDE INTERMEDIATE | 2-methyl-3-morpholino-1,1-diphenylpropane carboxylic acid |
| 115 | მორფერიდინი MORPHERIDINE | 1-(2-morpholinoethyl)-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester |
| 116 | მორფინ -N- ოქსიდი MORPHINE-N-OXIDE | (derivate of morphine) (მორფინის წარმოებული) |



| | | |
|------------------|---|--|
| 117 | მორფინის მეთობრომიდი და მორფინის სხვა ხუთვალენტური აზოტური წარმოებულები, მათ შორის, მორფინ-N-ოქსიდის წარმოებულები, რომელთაგან ერთ-ერთი N-ოქსი-კოდეინია MORPHINE METHOBROMIDE AND OTHER PENTAVALENT NITROGEN MORPHINE DERIVATIVES INCLUDING IN PARTICULAR THE MORPHINE-N-OXIDE DERIVATIVES, ONE OF WHICH IS CODEINE-N-OXIDE | |
| 117 ¹ | მტ-45 MT-45 | 1-cyclohexyl-4-(1,2-diphenylethyl)piperazine |
| 118 | მფპპ MPPP | 1-methyl-4-phenyl-4-piperidinol propionate (ester) |
| 119 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 120 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 121 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 122 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 123 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 124 | ნორაციმეთადოლი NORACYMETHADOL | (±)-α-3-acetoxy-6-methylamino-4,4-diphenylheptane |
| 125 | ნორლევორფანოლი NORLEVORPHANOL | (-)-3-hydroxymorphinan |
| 126 | ნორმორფინი NORMORPHINE | demethylmorphine (derivate of morphine) (მორფინის წარმოებულნი) |
| 127 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 128 | ოპიუმი (ამფიონი) OPIUM | The coagulated juice of the opium poppy (plant species Papaver somniferum L.) დამამძინებელი ყაყაჩოს (მცენარე Papaver somniferum L.) შედედებული რძეწვენი |
| 129 | ოპიუმი ექსტრაქციული, მათ შორის: ა) ნარკოტიკული საშუალებების (მორფინი, კოდეინი, თებაინი, ორიპავინი) შემცველი ნებისმიერი სახეობის მცენარიდან წყლიანი გამონაწველილი, გამონახარში, გამონაცემი, ნაყენი ან ამოქროლების შედეგად მიღებული მშრალი ნაშთი; ბ) დამამძინებელი ყაყაჩოსგან ნებისმიერი გზით მიღებული, ნარკოტიკულად აქტიური ალკალოიდები; გ) ყაყაჩოს ნამჯისგან კუსტარულად დამზადებული ნებისმიერი პრეპარატი | |
| 130 | ოპიუმის ექსტრაქტი (EXTRACT OPIUM) | |
| 131 | ოპიუმის ნაყენი (TINCTURA OPII) | |
| 132 | ოქსიმორფონი OXYMORPHONE | 14-hydroxydihydromorphinone (derivate of morphine) (მორფინის წარმოებულნი) |
| 133 | პარა - ფლუოროფენტანილი PARA-FLUOROFENTANYL | 4'-fluoro-N-(1-phenethyl-4-piperidyl)propionanilide |
| 134 | პარაჰექსილი PARAHEXYL | 3-hexyl-7,8,9,10-tetrahydro-6,6,9-trimethyl-6H-dibenzo[<i>b,d</i>]pyran-1-ol |
| 135 | პეტიდინის სინთეზის შუალედური პროდუქტი A | 4-cyano-1-methyl-4-phenylpiperidine |



| | | |
|-----|---|---|
| | PETHIDINE INTERMEDIATE A | |
| 136 | პეთიდინის სინთეზის შუალედური პროდუქტი B PETHIDINE INTERMEDIATE B | 4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester |
| 137 | პეთიდინის სინთეზის შუალედური პროდუქტი C PETHIDINE INTERMEDIATE C | 1-methyl-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid |
| 138 | პეპაპ PEPAP | 1-phenethyl-4-phenyl-4-piperidinol acetate (ester) |
| 139 | პიმინოდინი PIMINODINE | 4-phenyl-1-(3-phenylaminopropyl)piperidine-4-carboxylic acid ethyl ester |
| 140 | პმა PMA | p-methoxy- α -methylphenethylamine |
| 141 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 142 | პროპერიდინი PROPERIDINE | 1-methyl-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid isopropyl ester |
| 143 | პროპექტაზინი PROHEPTAZINE | 1,3-dimethyl-4-phenyl-4-propionoxyazacycloheptane |
| 144 | პსილოცინი, პსილოტსინი PSILOCINE, PSILOTSIN | 3-[2-(dimethylamino)ethyl]indol-4-ol |
| 145 | პსილოციბინი PSILOCYBINE | 3-[2-(dimethylamino)ethyl]indol-4-yl dihydrogen phosphate |
| 146 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 147 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 148 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 149 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 150 | რაცემეთორფანი RACEMETHORPHAN | (\pm)-3-methoxy-N-methylmorphinan |
| 151 | რაცემორამიდი RACEMORAMIDE | (\pm)-4-[2-methyl-4-oxo-3,3-diphenyl-4-(1-pyrrolidinyl)butyl]morpholine |
| 152 | როლიციკლიდინი ROLICYCLIDINE (PHP, PCPY) | 1-(1-phenylcyclohexyl)pyrrolidine |
| 153 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 154 | სტპ, დომ STP, DOM | 2,5-dimethoxy- α ,4-dimethylphenethylamine |
| 155 | ტენამფეტამინი (მდა) TENAMFETAMINE (MDA) | α -methyl-3,4-(methylenedioxy)phenethylamine |
| 156 | ტენოციკლიდინი TENOCYCLIDINE (TCP) | 1-[1-(2-thienyl)cyclohexyl]piperidine |
| 157 | ტეტრაჰიდროკანაბინოლები, შემდეგი იზომერები და მათი სტერეოქიმიური ვარიანტები: tetrahydrocannabinol, the following isomers and their stereochemical variants: | 7,8,9,10-tetrahydro-6,6,9-trimethyl-3-pentyl-6H-dibenzo[b,d]pyran-1-ol; (9R,10aR)-8,9,10,10a-tetrahydro-6,6,9-trimethyl-3-pentyl-6H-dibenzo[b,d]pyran-1-ol; (6aR,9R,10aR)-6a,9,10,10a-tetrahydro-6,6,9-trimethyl-3-pentyl-6H-dibenzo[b,d]pyran-1-ol; (6aR,10aR)-6a,7,10,10a-tetrahydro-6,6,9-trimethyl-3-pentyl-6H-dibenzo[b,d]pyran-1-ol; 6a,7,8,9-tetrahydro-6,6,9-trimethyl-3-pentyl-6H-dibenzo[b,d]pyran-1-ol; (6aR,10aR)-6a,7,8,9,10,10a-hexahydro-6,6-dimethyl-9-methylene-3-pentyl-6H-dibenzo[b,d]pyran-1-ol |
| 158 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 159 | ტმა TMA | (\pm)-3,4,5-trimethoxy- α -methylphenethylamine |
| 160 | ფენამპრომიდი PHENAMPROMIDE | N-(1-methyl-2-piperidinoethyl)propionanilide |



| | | |
|-----|---|---|
| 161 | ფენომორფანი PHENOMORPHAN | 3-hydroxy-N-phenethylmorphinan |
| 162 | ფენოპერიდინი PHENOPERIDINE | 1-(3-hydroxy-3-phenylpropyl)-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester |
| 163 | (ამოღებულია - 16.04.2014, № 2235) | |
| 164 | ფურეთიდინი FURETHIDINE | 1-(2-tetrahydrofurfuryloxyethyl)-4-phenylpiperidine-4-carboxylic acid ethyl ester |
| 165 | ცპ 47,497 CP 47,497 | 5-(1,1-dimethylhexyl)-2-[(1R,3S)-3-hydroxycyclohexyl]-phenol |
| 166 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 167 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 168 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 169 | ჯვპ -018 JWH-018 | Naphthalen-1-yl-(1-pentylindol-3-yl)methanon |
| 170 | ჯვპ -073 JWH-073 | 1-butyl-3-(1-naphthoyl)indole |
| 171 | ჯვპ -200 JWH-200 | 1-[2-(4-morpholino)ethyl]-3-(1-naphthoyl)indole |
| 172 | ჯვპ -250 JWH-250 | 1-pentyl-3-(2-methoxyphenylacetyl)indole |
| 173 | ჯვპ -398 JWH-398 | 1-pentyl-3-(4-chloro-1-naphthoyl)indole |
| 174 | (ამოღებულია - 16.04.2014, №2235) | |
| 175 | ყაყაო დამაძინებელი PAPAVER SOMNIFERUM | |
| 176 | ყაყაოს ნამჯა POPPY STRAW | all parts(except the seeds) of the opium poppy, after mowing მოცელილი დამაძინებელი ყაყაოს ყველა ნაწილი, გარდა ყაყაოს თესლებისა |
| 177 | ყაყაოს ნამჯის კონცენტრატი CONCENTRATE OF POPPY STRAW | the material arising when poppy straw has entered into a process for the concentration of its alkaloids when such material is made available in trade, ("Poppy straw": all parts (except the seeds) of the opium poppy, after mowing) (მასალა, რომელიც მიიღება ყაყაოს ნამჯისაგან მაშინ, როცა ყაყაოს ნამჯა განიცდის მასში შემავალი ალკალოიდების კონცენტრირების პროცესს, თუ ეს მასალა ხდება ვაჭრობის საგანი) |
| 178 | ყაყაოს ნამჯის ექსტრაქტი EXTRACT OF POPPY STRAW | დამაძინებელი ყაყაოს ნამჯისგან ნებისმიერი გზით მიღებული, ნარკოტიკულად აქტიური ალკალოიდები, აგრეთვე ყაყაოს ნამჯისგან კუსტარულად დამზადებული ნებისმიერი პრეპარატი |
| 179 | ყაყაოს (დამაძინებელი ყაყაოს) ნებისმიერი სახის ნაყენი და რმეწვენი THE COAGULATED JUICE AND TINCTURS OF POPPY STRAW | |
| 180 | ყველა იმ სახეობის ყაყაო და მისგან მომზადებული პროდუქტი, რომელიც არ არის დამაძინებელი ყაყაო, მაგრამ შეიცავს ამ სიაში მითითებულ ნარკოტიკულ საშუალებას | |
| 181 | ჰეროინი HEROIN | diacetylmorphine (derivative of morphine) (მორფინის წარმოებული) |
| 182 | ჰუ -210 | 1,1-dimethylheptyl-11-hydroxytetrahydrocannabinol |



| | | |
|-----|--------------------------------------|--|
| | HU-210 | |
| 183 | ჯვჰ -081 JWH-081 | 4-methoxynaphthalen-1-yl-(1-pentylindol-3-yl) methanone |
| 184 | ჯვჰ -122 JWH-122 | 4-methyl-1-naphthalenyl)(1-pentyl-1H-indol-3-yl)-methanone |
| 185 | ჯვჰ-2201 JWH-2201 (AM-2201) | [1-(5-Fluoropentyl)-1H-indol-3-yl](naphthalen-1-yl)methanone |
| 186 | 25ბ-ნბომე 25B-NBOMe (2C-B-NBOMe) | 2-(4-bromo-2,5-dimethoxyphenyl)-N-(2-methoxybenzyl)ethanamine |
| 187 | 25ც-ნბომე 25C-NBOMe (2C-C-NBOMe) | 2-(4-chloro-2,5-dimethoxyphenyl)-N-(2-methoxybenzyl)ethanamine |
| 188 | 25ი-ნბომე 25I-NBOMe (2C-I-NBOMe) | 2-(4-iodo-2,5-dimethoxyphenyl)-N-(2-methoxybenzyl)ethanamine |
| 189 | 3398-68-3 (პმმა) 3398-68-3 (PMMA) | para-methoxymethylamphetamine |

საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1866 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.

საქართველოს 2014 წლის 16 აპრილის კანონი №2235 - ვებგვერდი, 28.04.2014წ.

საქართველოს 2018 წლის 4 აპრილის კანონი №2118 – ვებგვერდი, 19.04.2018წ.

შენიშვნები:

1. I სიას მიეკუთვნება აგრეთვე:

ა) მასში შეტანილ ნივთიერებათა იზომერები, თუ ასეთი იზომერების არსებობა შესაძლებელია მოცემული კონკრეტული ქიმიური აღნიშვნის ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რომელიმე ნივთიერების იზომერი სპეციალურად არის ამოღებული ამ სიიდან;

ბ) მასში შეტანილ ნივთიერებათა მარტივი და რთული ეთერები, თუ ასეთი ეთერების არსებობა შესაძლებელია;

გ) მასში შეტანილ ნივთიერებათა იზომერებისა და მარტივი და რთული ეთერების მარილები, თუ ამგვარი მარილების არსებობა შესაძლებელია;

დ) მასში შეტანილ ნივთიერებათა წამლის ფორმები, თუ ამგვარი წამლის ფორმების არსებობა შესაძლებელია;

ე) მასში შეტანილ ნივთიერებათა ეტალონური სტანდარტული ნიმუშები;

ვ) ნარევი.

2. I სიას არ მიეკუთვნება ლევომეტორფანის და ლევორფანოლის იზომერები, შესაბამისად, დექსტრომეტორფანი [(+)-3-methyl-N-methylmorphinan] და დექსტრორფანი [(+)-3-hydroxy-N-methylmorphinan], რომლებიც სპეციალურად არის ამოღებული ამ სიიდან.

3. (ამოღებულია - 16.04.2014, №2235).

საქართველოს 2014 წლის 16 აპრილის კანონი №2235 – ვებგვერდი, 28.04.2014წ.

სია II

ბრუნვისათვის შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებები

| № | ნივთიერების დასახელება | ქიმიური დასახელება |
|---|--|---|
| 1 | 2 ს - ბ 2 C-B | 4-bromo-2,5-dimethoxyphenethylamine |
| 2 | ალილპროდინი ALLYLPRODINE | 3-allyl-1-methyl-4-phenyl-4-propionoxypiperidine |
| 3 | ალფაპროდინი ALPHAPRODINE | α-1,3-dimethyl-4-phenyl-4-propionoxypiperidine |
| 4 | ალფენტანილი ALFENTANIL | N-[1-[2-(4-ethyl-4,5-dihydro-5-oxo-1H-tetrazol-1-yl)ethyl]-4-(methoxymethyl)-4-piperidinyl]-N-phenylpropanamide |
